საია მოუწოდებს პროკურატურას დაუყოვნებლივ გამოიძიოს ადვოკატ გიორგი მდინარაძის მიმართ სავარაუდოდ პოლიციელთა მხრიდან განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტი და ყველა შესაბამისი პირი მისცეს პასუხისგებაში

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge

საია უკიდურეს შეშფოთებას გამოთქვამს 8 ნოემბერს ადვოკატ გიორგი მდინარაძის მიმართ სავარაუდოდ შსს-ს თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტზე. საია მოუწოდებს პროკურატურას სწრაფად, სრულყოფილად და ობიექტურად გამოიძიოს აღნიშნული შემთხვევა და პასუხისგებაში მისცეს ყველა შესაბამისი პირი.

გავრცელებული ინფორმაციით, ადვოკატი გიორგი მდინარაძე ვაკე-საბურთალოს პოლიციის V განყოფილების შენობაში არასრულწლოვანის ინტერესების დასაცავად იმყოფებოდა, რა დროსაც სავარაუდოდ პოლიციის თანამშრომლები ფიზიკურად გაუსწორდნენ. სახალხო დამცველის რწმუნებულების ინფორმაციით, გიორგი მდინარაძეს აღნიშნული შემთხვევის შედეგად აღენიშნება არაერთი დაზიანება - სისხლჩაქცევა, სისხლნაჟღენთი მარჯვენა თვალბუდის არეში, ნაკაწრები მარცხენა მხარეს, ყბა-სახის არეში, სისხლნაჟღენთი ყელის არეში, მარჯვენა მხარეს.

მნიშვნელოვანია, რომ საგამოძიებო მოქმედებები დროულად იქნეს ჩატარებული, მათ შორის დაკითხულ იქნეს ყველა პირი, რომელიც შესაძლოა შეესწრო სავარუდოდ მომხდარ ფაქტს. ამასთან, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, პროკურატურამ მოახდინოს საზოგადოების ინფორმირება გამოძიების მიმდინარეობის და შედეგების შესახებ.

საია კიდევ ერთხელ შეახსენებს სამართალდამცავ ორგანოებს, რომ დაუშვებელია ადვოკატის საქმიანობაში ჩარევა ან რაიმე ფორმით ხელის შეშლა, მითუმეტეს მის მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორება. იურისტთა როლის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპები აღიარებს ადვოკატის უფლებას, თავისი პროფესიული ფუნქციების შესრულება შეძლოს დაშინების, დაბრკოლების, ხელის შეშლის, არასათანადო ჩარევის გარეშე და სახელმწიფოებს ავალდებულებს უზრუნველყონ ზემოაღნიშნული უფლებების ჯეროვანი დაცვა და ხელშეწყობა.

ჯ. კახიძის #15, თბილისი, საქართველო, 0102 ; ტელ: (995 32) 95 23 53; ფაქსი: (995 32) 92 32 11; ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge; www.gyla.ge
15, J. Kakhidze str. 0102, Tbilisi, Georgia. Tel: (995 32) 95 23 53; Fax: (995 32) 92 32 11; E-mail: gyla@gyla.ge; www.gyla.ge